MES 6 22 0000155394

16/02/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომისოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 11.02.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:15სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
6. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

8. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
10. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
11. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
13. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
15. **თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
16. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
17. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
18. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
19. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	სოფიკო ქურაბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი		სტატუსი	საკითხი

		საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება		
1	გია ნოდია	**სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროფესორი,	**I**
2	გიორგი გვალია		პროფესორი, ვიცე-რექტორი,	**I**
3	დავით აფრასიძე		პროფესორი,	**I**
4	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,	**I**
5	ნინო მატარაძე		დეკანი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	**I**
6	მაკა ლაშხია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი,	**I**
7	ზვიად ზალიკიანი	**ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი,	**I**
8	ნინო ივანიშვილი		ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის დეკანი;	**II**
9	ანა ქეშელაშვილი		ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძვანელი;	**II**
10	დავით წასიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძვანელი;	**II**
11	გიორგი ტომარაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;	**II**
12	დავით მახვილაძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,	**III, IV, V**
13	ხათუნა მხეიძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	**III, IV, V**
14	ნუგზარ წერეთელი		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი,	**III**
15	მაია მშვილდაძე		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე,	**III**
16	მამუკა მაისურაძე		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის	**III**

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,	
17	ზურაბ საბაშვილი	**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	სტუ-ის მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის უფროსი	**III**
18	ომარ მიქაძე		„მეტალურგიის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი,	**III**
19	ზურაბ გვიშიანი		სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი,	**IV**
20	მარინა ჯავახიშვილი		სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,	**IV**
21	მალხაზ წიქარიშვილი		„მშენებლობის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი,	**IV**
22	თინათინ დათიაშვილი		სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	**IV**

აკრედიტაციისექპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონული საშუალებითმონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	დიბიეშ ანანდი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	სალომე ალანია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
6	მალხაზ გაგუა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, V
8	ომარ კიკვიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	მერაბ ბარათაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
10	სეით ბლიაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
11	ბექა ბუიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
12	გიორგი მაყაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
13	ქეთევან ჩეკურიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, გლაზგოს უნივერსიტეტისა და ტარტუს უნივერსიტეტის "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების" Central and East European, Russian and Eurasian Studies (CEERES) ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ,,ციფრული მედიისა და კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მეტალურგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, გლაზგოს უნივერსიტეტისა და ტარტუს უნივერსიტეტის "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების" Central and East European, Russian and Eurasian Studies (CEERES) ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ,,ციფრული მედიისა და კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მეტალურგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1.პირველი საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, გლაზგოს უნივერსიტეტისა და ტარტუს უნივერსიტეტის "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების" Central and East European, Russian and Eurasian Studies (CEERES) ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევები Central and East European, Russian and Eurasian Studies (CEERES)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გლაზგოს უნივერსიტეტი და ტარტუს უნივერსიტეტი
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.01.2018, გადაწყვეტილება No. 20.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევები(CEERES)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	კავკასიის კვლევების მაგისტრი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) საერთაშორისო მაგისტრი (გლაზგოს უნივერსიტეტი; ტარტუს უნივერსიტეტი)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0388 ინტერდისციპლინური–მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას 0388 Inter-disciplinary –involving social sciences, journalism and information
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32 თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა- ელენე ჟურავლოვამ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა დიტანციურად, ზუმის პლატფორმის საშუალებით, 2022 წლის 21 იანვარს. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიური პესონალს, ოფიციალურ პირებს, სტუდენტებს და გარე დაინტერესებულ მხარეებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგი იყო ჩართული ოცამდე საერთაშორისო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში და მოცემული პროგრამა შედის ტოპ 3 საუკეთესო პროგრამებს შორის. პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. ეს არის უნიკალური პროგრამა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დაწესებულებასა და ქვეყანას, ასევე კვლევით, აკადემიურ და პრაქტიკულ უნარებს კულტურებსა და სასწავლო დაწესებულებებს შორის. პროგრამა საკმაოდ მოქნილია და სტუდენტებს პირველ კურსზე სთავაზობს მეთოდოლოგიურ და ცოდნაზე დაფუძნებულ სიღრმისეულ ტრენინგს ორ სხვადასხვა დაწესებულებაში. პროგრამის ქართული ნაწილი (მეორე კურსი, ორი სემესტრი, რომელიც მოიცავს არჩევით კურსებს, სავალდებულო სტაჟირებას და სამაგისტრო ნაშრომს) მკაფიო სტრუქტურას ექვემდებარება და შეესაბამება პროგრამის საერთო მიზნებს. ამ საერთაშორისო პროგრამას აქვს შესაძლებლობა მოამზადოს მაგისტრები, რომელთა კვლაიფიკაცია ნამდვილად შეესაბამება სიტყვას „საერთაშორისო“ და ასევე კარგად ერკვევიან რეგიონის (მათ შორის საქართველოს) პოლიტიკაში, გეოპოლიტიკასა თუ კულტურაში. პროგრამის დიზაინი ზედმიწევნით ითვალისწინებს მიზნებს, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონის სპეციფიკასთან, მრავალდისციპლინურობასთან, ენობრივ უნარებთან, კულტურათაშორის ცნობიერებასთან მობილობისა და დამოუკიდებელი კვლევების გზით. ეს ასევე მუშაობს პრაქტიკაში. პროგრამაში გაცხადებულია, რომ ის პასუხობს შრომის ბაზრის საჭიროებებსა და მოთხოვნებს. მოწოდებული დოკუმენტები ეხება დამსაქმებლების მიერ ფოკუს-ჯგუფებში ჩატარებული ინტერვიუების მეშვეობით გაკეთებულ შეფასებებს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ მეტი უნდა გაკეთდეს დამსაქმებლების ჩასართავად და მათგან უკუკავშირის მისაღებად. მცირედ არის აღნიშნული დამსაქმებლებთან მუდმივი კომუნიკაციის (ფორმალური თუ არაფორმალური) მექანიზმი. მეორე მხრივ, საუკეთესო პრაქტიკის სახით, ზოგიერთმა დამსაქმებელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ადმინისტრაციამ განიხილა მათი წინადადებები პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე.

პროგრამა ძალიან მკაფიოდ არის დაკავშირებული დაწესებულების მისიასთან მაღალი დონის ინტერნაციონალიზაციის კუთხით. ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომია. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა სრულად აკმაყოფილებს ქართულ, ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტს.
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, გლაზგოს უნივერსიტეტისა და ტარტუს უნივერსიტეტის "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების" Central and East European, Russian and Eurasian Studies (CEERES) ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის ფარგლებში უნდა ჩატარდეს შრომის ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების უფრო რეგულარული, ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, უფრო მეტი ხარისხობრივი კომპონენტით და დამსაქმებლების ჩართულობით.
2. უაღრესად რეკომენდებულია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისთანავე ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოთ დეტალური ინსტრუქტაჟი და ამომწურავი ინფორმაცია არსებული ელექტრონული პლატფორმებისა და კომუნიკაციის ხელსაწყოების გამოყენების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები სრულად ემთხვევა დაწესებულების ხედვას.
შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარი არის საერთაშორისო, საქართველოში კურსდამთავრებულის დასაქმების პრეცედენტი არ ყოფილა. შესაბამისად, შრომის ბაზრის სრულფასოვანი კვლევა წარმოადგენს სრულად კონსორციუმის ამოცანასა და მიზანს. ტარტუს უნივერსიტეტი უახლოეს თვეებში უკვე იწყებს მუშობას საკმაოდ საფუძვლიანი შრომის ბაზრის კვლევის ჩატარების მიზნით. რაც შეეხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წვლილს, დაწესებულებამ ჩაატარა კვლევა ფოკუს ჯგუფის მეთოდით, იმ ორგანიზაციებთან, სადაც სტუდენტები გადიან სტაჟირებას. აღნიშნული რა თქმა უნდა ვერ იქნებოდა სრულყოფილი შრომის ბაზრის კვლევა, თუმცა იყო მაქსიმალურად მიახლოებული ასეთ კვლევასთან. გამომდინარე აქედან, დაწესებულება სრულად ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას და აქტიურად განაგრძობს ამ კუთხით მუშაობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დასვა კითხვა თვითშეფასების ანგარიშში მოცემულ ინფორმაციაზე და დაინტერესდა, თუ ვინ იყო ეროვნებით პროგრამაზე ჩარიცხული 6 სტუდენტი. ასევე, დაინტერესდა თვითშეფასების ანგარიშში მოცემული პროცენტული მონაცემებით, რომ სტუდენტთა 100% არის დასაქმებული, ხოლო 17% აგრძელებს სწავლას შემდგომ სადოქტორო საფეხურზე. შესაბამისად, საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტება.
საბჭოს წევრმა ასევე ყურადღება გაამახვილა რუსული ენის სწავლების საკითხზე და განმარტა, რომ შინაარსობრივი და ტექნიკური კუთხით რუსული ენის სილაბუსები საჭიროებენ მოდიფიცირებას და გადახედვას. კერძოდ, მან ისაუბრა სავალდებულო ლიტერატურის განახლების საჭიროებაზე, რადგან მოცემულია მოძველებული, მათ შორის 2003 წლის სახელმძღვანელოები. ამასთან, ალოგიკურად მიიჩნია, რომ თავდაპირველად სამაგისტრო საფეხურზე ისწავლება რუსული ენის საწყისი დონე, ხოლო შემდეგ სემესტრში შეთავაზებულია დარგობრივი რუსული ენის შესწავლა. გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა მიმართა კონსორციუმის წარმომადგენელებს საკითხის დაზუსტების მიზნით, პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესში, ხომ არ ყოფილა განხილული საკითხი, რომ მიღების წინაპირობებში რუსეთის, ევრაზიის და აღმოსავლეთ ევროპის კვლევებით დაინტერესებული აპლიკანტებისთვის შეთაბაზებულიყო თუნდაც რუსული ენის B1 დონის ცოდნის დადასტურება, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული საწყისი დონის რუსული ენის სწავლება სამაგისტრო საფეხურზე.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი ბიუჯეტი. წარმოდგენილი დოკუმენტი არის კონსორციუმის წევრებს შორის შეთანხმება ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით. გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა რუსული ენის სილაბუსებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მოცემული სასწავლო კურსები მიღებულია მთელი კონოსრციუმის გადაწყვეტილებით და შეთავაზებულია ტარტუს უნივერსიტეტის მხრიდან. სტუდენტები პირველ სემესტრში, თითოეულ სასწავლო კურსს გადიან ტარტუს უნივერსიტეტში, მე-2 სემესტრში გლაზგოს უნივერსიტეტში. აღნიშნული სემესტრები ძირითადად ორიენტირებულია ტრანსფერული უნარები განვითარებაზე, ხოლო შემდგომ სტუდენტები უკვე ნაწილდებიან კონსორციუმის წევრებს შორის და ირჩევენ შესაბამის კონცენტრაციას, რომლის მიხედვითაც ამზადებენ სამაგისტრო ნაშრომებს. ასევე აღსანიშნავია, რომ კურსის შინაარსი და შემადგენლობა თანხმდება მხარეებს თითოეული წევრის მიერ.
პროგრამაში ჩართული სტუდენტები არიან ჩეხეთიდან, პოლონეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ამერიკიდან. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტების ნაწილი სწავლას აგრძელებს სადოქტორო დონეზეც, კერძოდ ერთ-ერთი კურსდამთავრებული ამჟამად დოქტორანტია გერმანიაში, იენის უნივერსიტეტში.
ბიუჯეტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ფინანსური მდგრადობა სრულად არის უზრუნველყოფილი კონსორციუმის მიერ და წარმოადგენს მის პრეროგატივას. სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად უნივერიტეტი იღებს შესაბამის ფინანსებს კონსორციუმისგან. ასევე შემუშავებულია შიდა საუნივერსიტეტო წესი, რომელიც განსაზღვრას შემოსავლების განაწილების პრინციპებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დაყენა შუამდგომლობა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 26 იანვრის თარიღით, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამას მიმდინარე აკრედიტაციის ვადა ამოეწურა 2022 წლის 26 იანვარს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის არსებითი მნიშვნელობის იყო პროგრამის აკრედიტაციის სტატუსის

უწყვეტობა, რადგან ეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის ნაწილში. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის სტატუსის უწყვეტობა უზრუნველყოფდა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების და პროგრამაზე დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლების ინტერესების მაქსიმალურ დაცვას. აგრეთვე, აღინიშნა, რომ ვინაიდან, პროგრამა ხორციელდებოდა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში, მათ გაიარეს შესაბამისი კონსულტაციები, თუ რამდენად იყო შესაძლებელი ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (EKKA) მიერ პროგრამისთვის მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება მომხდარიყო ცენტრის მიერ. აღნიშნული კონსულტაციების გამართვას დაჭირდა შესაბამისი დრო და ამიტომ, მოხდა ის, რომ პროგრამაზე ვერ იქნა უზრუნველყოფილი აკრედიტაციის სტატუსის უწყვეტობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 14:43
დასრულების დრო: 15:15

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ , მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; თუმცა აღნიშნული კომპონენტის სცლილებას არ გამოუწვევია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება. 2.4 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, გლაზგოს უნივერსიტეტისა და ტარტუს უნივერსიტეტის "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების" Central and East European, Russian and Eurasian Studies (CEERES) ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. პროგრამის ფარგლებში უნდა ჩატარდეს შრომის ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების უფრო რეგულარული, ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, უფრო მეტი ხარისხობრივი კომპონენტით და დამსაქმებლების ჩართულობით.
2. უაღრესად რეკომენდებულია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისთანავე ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოთ დეტალური ინსტრუქტაჟი და ამომწურავი ინფორმაცია არსებული ელექტრონული პლატფორმებისა და კომუნიკაციის ხელსაწყოების გამოყენების თაობაზე.

რჩევები:

1. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს საქართველოს კულტურა და მისი მრავალფეროვნება უფრო აინტერესებთ, ვიდრე გეოპოლიტიკა. პროგრამის აღწერილობა მიუთითებს იმაზე, რომ ის უფრო მეტად არის დაკავშირებული გეოპოლიტიკასთან და საერთაშორისო ურთიერთობებთან, ვიდრე კულტურასთან. სტუდენტების სიმცირიდან და მათი განსხვავებული ინტერესებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა მცირე ცვლილებების შეტანა პროგრამის რეკლამირებასა და პრეზენტაციაში, რათა კულტურა ისევე იყოს წარმოჩენილი, როგორც გეოპოლიტიკა. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის შემოთავაზებაა შრომის ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების უფრო ხშირი შეფასება და პოტენციურ დამსაქმებლებთან (საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საჯარო სექტორთან) მუდმივი კომუნიკაციის მექანიზმის ჩამოყალიბება (რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც განხორციელდება).
2. როგორც თვითშეფასების ანგარიშში ჩანს, დაწესებულებამ დრო და ენერგია უნდა ჩადოს სწავლის შედეგების შეფასების უკეთესი და რეგულარული სისტემების განვითარებაში, ნაცვლად იმისა, რომ ელოდოს გრძელვადიანი აკრედიტაციის დავალებებს. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სტუდენტები და აკადემიკოსები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ აკადემიური ცოდნის დივერსიფიკაციასა და დეკოლონიზაციას. რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს დიდ ქვეყანასა და მის მეზობლებს შორის ძალაუფლების ასიმეტრიას, პროგრამის გრძელვადიან ინტერესს შეეფერება მრავალფეროვნებისა და დეკოლონიზაციის საკითხების მეტი ჩართვა.
3. წელიწადში ორჯერ კონსორციუმის შეხვედრის კოორდინირება დასაფასებელია, მაგრამ შეხვედრებს შორის კოორდინაციისთვის უკეთესი მექანიზმების შემუშავება საჭიროა.
4. გადაიხედოს და დაზუსტდეს „რუსული ენის“ და სოციალური მეცნიერებათა მეთოდოლოგიის“ სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა და განსახილველი საკითხები.
5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არჩევითი კურსებისთვის კარგი იქნება მათი სილაბუსების განახლება. მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური საკითხავების უმეტესობა გამოიყენება საკითხებისთვის, როგორიცაა დემოკრატიზაციის პროცესი, ენერგეტიკა, მეხსიერების პოლიტიკა ან ეთნიკური კონფლიქტები, რჩება საკმაო ადგილი ახალი და კრიტიკული ლიტერატურისთვის.
6. პროგრამამ სტუდენტებს უნდა შესთავაზოს მეტი შესაძლებლობები, რათა მათ გააღრმავონ საკუთარი ხედვა ადგილობრივ და რეგიონულ განვითარებაზე.
7. უნდა გაფართოვდეს თანამშრომლობა და მემორანდუმები შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოში მოქმედ შესაბამის კერძო სტრუქტურებთან, სტაჟირების მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად;
8. საჭიროა პოტენციურ დამსაქმებლებთან (საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საჯარო სექტორთან) მუდმივი კომუნიკაციის მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც განხორციელდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ;
9. საჭიროა უკეთესი მექანიზმი სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გასაგებად.
10. შშმ სტუდენტების სპეციალური საჭიროებებისა და ევროპული მოთხოვნების გათვალისწინებით, თითეულ მოდულში ხელმისაწვდომი უნდა იყოს შეფასების ალლტერნატიული მეთოდები, რომლებიც მოერგება სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებს. მაგალითად, კონკრეტული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სტუდენტისთვის შესაძლოა გამოწვევა იყოს საკლასო პრეზენტაციები; შესაბამისად, შეფასების ალტერნატიული ფორმა, როგორიცაა ერთი ერთზე პრეზენტაცია ან უფრო გრძელი ესეს დაწერა, შესაძლოა უფრო ხელსაყრელი იყოს სტუდენტისთვის.

11. მეტი თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგიების ინტეგრირება (დისკუსიები, მრგვალი მაგიდა, შემთხვევის შესწავლა) კურსებში, უფრო გააძლიერებს კომუნიკაციის, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიტიკურ უნარებს.
12. საერთაშორისო თუ ადგილობრივ სტუდენტებში, გაიზარდოს ცნობიერება კარიერული მხარდაჭერისა და სტუდენტურ საქმეთა განყოფილების შესახებ, რათა მიეწოდოთ მეტი შესაძლებლობები, რომ ადაპტირდნენ ადგილობრივ გარემოსთან და სამუშაო შესაძლებლობების, კონფერენციებისა თუ ღონისძიებების გზით, მიიღონ ცოდნა ადგილობრივ მოვლენებზე. უფრო მეტიც, უნდა გაძლიერდეს სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის კომუნიკაციის მექანიზმი.
13. სტუდენტსა და ხელმძღვანელ შორის რამდენიმე შეხვედრის უკეთესად და სავალდებულო დონეზე აღრიცხვა.
14. ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა ან უფლებამოსილება რომ ჩაეტარებინა პროგრამის გენდერული ანალიზი. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ გასაუბრებებზე წარმოდგენილ აკადემიკოსთა უმეტესობა მამაკაცი იყო. ექსპერტთა ჯგუფი იმედოვნებს, რომ მამაკაცთა დომინირება არ წარმოადგენს აღნიშნული პროგრამისთვის ნორმას და მოვუწოდებთ, რომ ამ პროგრამაზე გაცნობიერებული ჰქონდეთ ფუნდამენტალური აკადემიური პრინციპი, რომელიც თანასწორი და მრავალფეროვანი განათლების უზრუნველყოფას გულისხმობს
15. სასურველია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას საქართველოში მიღებული სტანდარტული ფორმით.
16. ხელი შეუწყვეთ ყველა დაინტერესებული მხარის აქტიურ ჩართულობას საჭიროებაზე დაფუძნებულ გამოკითხვებში.
17. სწავლების ხარისხის შენარჩუნების მიზნით, უფრო აქტიური გახადეთ საკლასო დაკვირვება და კოლეგების მიერ ურთიერთშეფასების პროცესი.

გადაწყვეტილება:

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუმქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, გლაზგოს უნივერსიტეტისა და ტარტუს უნივერსიტეტის "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების" Central and East European, Russian and Eurasian Studies (CEERES) ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭომ ასევე იმსჯელა აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღის შესახებ. საბჭომ მხედველობაში მიიღო, რომ საგანმანათლებლო პროგრამა იყო ერთობლივი და ხორციელდებოდა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად - სამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე (სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტარტუს უნივერსიტეტისა და გლაზგოს უნივერსიტეტის). საბჭომ მხედველობაში მიიღო ის

გარემოება, რომ პროგრამის სტატუსის წყვეტას შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა აღნიშნული საერთაშორისო თანამშრომლობა. საბჭომ ასევე გაითვალისწინა პროგრამაზე ჩარიცხული პირების და პროგრამაზე დასაქმებული პირების ინტერესები. ასევე, გაითვალისწინა ის გარემოება, რომ უცხოური ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარების საკითხის განხილვას ცენტრთან დაჭირდა გარკვეული დრო. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, გლაზგოს უნივერსიტეტისა და ტარტუს უნივერსიტეტის "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების" Central and East European, Russian and Eurasian Studies (CEERES) ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 26 იანვარს.

2. მეორე საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ,,ციფრული მედიისა და კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული მედია და კომუნიკაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.03.2018 გადაწყვეტილება N 38
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ციფრული მედია და კომუნიკაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321- ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მარი ბროსეს ქუჩა N2, თბილისი, 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა- თეონა მატარაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შემოწმება დაწესებულებაში განხორციელდა 2021 წლის 30 და 31 იანვარს: 31 იანვარს შეფასება განხორციელდა დისტანციურად, zoom-ის პლატფორმის მეშვეობით, ხოლო 30 იანვარს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების მიზნით, შედგა ვიზიტი უნივერსიტეტში. შეხვედრები გაიმართა დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომელნიც ასევე ჩართულნი არიან პროგრამის შემუშავებაში. შეხვედრა ასევე გაიმართა პროგრამის სტუდენტებთან და მომიჯნავე პროგრამების კურსდამთავრებულებთან, ვინაიდან აღნიშნულ პროგრამას ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული. აკრედიტაციის ექსპერტებმა დაწესებულების ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ერთად მიმოიხილეს სასწავლო რესურსები და ადგილზე გაეცნენ ბიბლიოთეკის საძიებო სისტემას, ბაზებსა და პროგრამისთვის შექმნილ რიდერებს. აკრედიტაციის ექსპერტებმა, აგრეთვე ადგილზე დაათვალიერეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაცია და ა.შ. საბაკალავრო პროგრამის შეფასება განხორციელდა პროფესიულ, თანამშრომლობით გარემოში.
2022 წლის 2 თებერვალს ექსპერტთა ჯგუფმა წარადგინა დასკვნის პროექტი, რომლის საფუძველზეც ა(ა)იპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა გამოაგზავნა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც მოცემულია დასკვნის პროექტში მითითებულ რეკომენდაციებზე დაწესებულების მოსაზრებები. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია დიდად არ განსხვავდება აკრედიტაციის ჯგუფის დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამართული შეხვედრებისას მოწოდებული ინფორმაციისა და კომენტარებისაგან..
ამასთან, საბაკალავრო პროგრამა შედგენილია ლოგიკურად, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, ექსპერტთა ჯგუფის შეთავაზებული რეკომენდაციები კი, ემსახურება სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მიღწევას და პროგრამის გაძლიერებასა და განვითარებას.
ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ,,ციფრული მედიისა და კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორ ესტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 162 კრედიტს სავალდებულო კომპონენტში; 30 არჩევით კრედიტს, 24 თავისუფალ კრედიტს, სავალდებულო პრაქტიკას სტუდენტურ მედიაში 9 კრედიტი და პორტფოლიოს 15კრედიტი. პროგრამაში ძალიან ბევრი სავალდებულო კრედიტია. სასურველია, არჩევითობის კომპონენტი უფრო გამრავალფეროვნდეს;
2. რეკომენდირებულია, უფრო საწყის სემესტრებში, პირველივე კურსზე ისწავლებოდეს ისეთი საგნები, როგორიცაა „შესავალი ვიზუალურ კომუნიკაციებში“ (3), „პროფესიული ეთიკის საფუძვლები“ (3), „მენჯმენტის საფუძვლები“ (4). ასევე რეკომენდირებულია, „მედიასამართალი“ მე-6 სემესტრის ნაცვლად უფრო ადრეულ სემესტრებში ისწავლებოდეს, ისევე როგორც „აკადემიური წერა“ უმჯობესია თუ პირველივე კურსზე იქნება გათვალისწინებული;
3. უნდა გაგრძელდეს მუშაობა ლიტერატურის განახლება-გამრავალფეროვნებაზე, რადგან მთელ რიგ კურსებში ლიტერატურა განახლებას მოითხოვს;
4. ზოგიერთ სასწავლო კურსში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ვიდეორესურსების ლინქები. სასურველია, ისინი გადავიდეს დამხმარე ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალების გრაფაში;
5. საგამოცდო საათები არ ჩანს არც პროგრამის კურიკულუმში, არც სილაბუსებში. მხოლოდ მითითებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშოს საათები, რეკომენდირებულია მიეთითოს, რამდენ საათიანია დასკვნითი და ფინალური გამოცდები;
6. ზოგიერთი სასწავლო კურსი გაწერილია 7, 8 ან 9 თემატიკაზე და არ ჩანს, როგორ ნაწილდება ეს სალექციო თემები 15 კვირაზე. მაგალითად: „ქცევის დიზაინი და კომუნიკაცია“; „ბრენდინგის საფუძვლები“, „Copywriting”, „PR ქეისები“, “კამპანიები და სტრატეგიები“, „სამთავრობი უწყებების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები“, „ჯანდაცვის საკითხების გაშუქება“, „სასწავლო პრაქტიკა“ და სხვ. სასურველია, მკაფიოდ გაიწეროს, რის საფუძველზე ადგენენ მოკლე ვადიანი კურსების საჭიროებას;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენლმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში გაწერილ რეკომენდაციებზე, კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როგორც წარმოდგენილ დასკვნის პროექტშია მითითებული, „პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს; პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.“ ამასთან,

პროგრამების სავალდებულო კრედიტების რაოდენობა ეფუძნება დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მიმდინარე მუდმივი კონსულტაციებისა და შეხვედრების შედეგებს და გამომდინარეობს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების სპეციფიკიდან. სტუდენტებისთვის სასწავლო კურსების მრავალფეროვანი არჩევითობის კონტექსტში აღსანიშნავია, რომ პროგრამაში 54 ECTS კრედიტი შეთავაზებულია როგორც არჩევითი და თავისუფალი კომპონენტი და აღნიშნული კრედიტების ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ როგორც მრავალფეროვანი დარგობრივი სასწავლო კურსები, ისე მათი ინტერესებიდან გამომდინარე უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან ტრანსფერული და მრავალფეროვანი სასწავლო კურსები. შესაბამისად, ,,ციფრული მედიისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა (კრედიტების განაწილება) სრულად შეესაბამება სწავლის სფეროების კლასიფიკატორისა და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამაში საგნების თანმიმდევრობისა და სემესტრული განაწილების უკან დგას კონკრეტული მიმართულებით საჭირო ცოდნისა და უნარების ეტაპობრივად განვითარების პრინციპი და ლოგიკა. შესაბამისად, თუ საბჭოს წევრებს ექნებათ კითხვები დეტალურად თითოეულ სასწავლო კურსთან მიმართებით, ინსტუტუცია მზად არის გააკეთოს შესაბამისი განმარტება.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ციფრული მედიისა და კომუნიკაციების დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ხშირ შემთხვევაში აუცილებელია სასწავლო პროცესში სტუდენტებისთვის ვიზუალური რესურსების გაზიარება, თუმცა ეს არ არის სასწავლო კურსის ერთადერთი სასწავლო რესურსი („ლიტერატურა“), რადგან ყველა სასწავლო კურსი მოიცავს საკითხავ სავალდებულო ლიტერატურას სახელმძღვანელოს ან რიდერის სახით. თუ რეკომენდაცია შეეხება ვიდეო რესურსისთვის „ლიტერატურის“ არ დარქმევის საკითხს, ამ ნაწილს დაწესებულება იზიარებს რჩევის სახით, რადგან აღნიშნული არ რეგულირდება აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების ინდიკატორებით და წარმოადგენს კურსის სპეციფიკის საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ პირველი საკითხი სტანდარტულად ეხება შრომის ბაზრის კვლევას, საბჭომ ისევ იხილა ნარდობის ხელშეკრულება, თუმცა უნდა ეხილათ შრომის ბაზრის კვლევა.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სრულიად იზიარებს დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციაში მოყვანილ მოსაზრებას კურიკულუმში სავალდებულო კრედიტების საერთო მოცულობისა და რაოდენობის თაობაზე და აღნიშნა, რომ პროგრამის ეს მოდელი, რომელიც აირჩია დაწესებულებამ (major+free) მინორის გარეშე სრულიად მისაღებია, ვინაიდან ის მოიცავს საკმარისი რაოდენობის როგორც არჩევით სასწავლო კურსებს, ასევე თავისუფალ სასწავლო კურსებს და არ შეიძლება ჩაითვალოს პროგრამის ხარვეზად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოზე წარმოდგენილი პროგრამები ერთ პერიოდში არის მომზადებული, შესაბამისად, შრომის ბაზრის კვლევასთან საკითხი არის იდენტური, თუმცა, დაწესებულება მუშაობს ამ მიმართულებით და სამომავლოდ საკითხი შესაბამისად იქნება მოწესრიგებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:43
დასრულების დრო: 15:58

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.2 კომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", თუმცა არ შეცვლილა პირველი სტანდარტის შეფასება და ის ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 2.2 კომპონენტის მეორე რეკომენდაცია გადავიდა რჩევების ნაწილში, ასევე ამავე კომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, თუმცა არ შეცვლილა მეორე სტანდარტის შეფასება და ის ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".
საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია შემუშავდეს და წარმოდგენილი იქნას კონსოლიდირებული სახით შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი;
2. პროგრამის სტუქტურაში გადაიხედოს ინგლისური ენის სწავლების საკითხი მათი დონეების შეთავაზების კუთხით;
3. უნდა გაგრძელდეს მუშაობა ლიტერატურის განახლება-გამრავალფეროვნებაზე, რადგან მთელ რიგ კურსებში ლიტერატურა განახლებას მოითხოვს;
4. ზოგიერთ სასწავლო კურსში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ვიდეორესურსების ლინქები. სასურველია, ისინი გადავიდეს დამხმარე ლიტერტურისა და სხვა სასწავლო მასალების გრაფაში;
5. საგამოცდო საათები არ ჩანს არც პროგრამის კურიკულუმში, არც სილაბუსებში. მხოლოდ მითითებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშოს საათები, რეკომენდირებულია მიეთითოს, რამდენ საათიანია შუალდეური და დასკვნითი გამოცდები;
6. ზოგიერთი სასწავლო კურსი გაწერილია 7, 8 ან 9 თემატიკაზე და არ ჩანს, როგორ ნაწილდება ეს სალექციო თემები 15 კვირაზე. მაგალითად: „ქცევის დიზაინი და კომუნიკაცია"; „ბრენდინგის საფუძვლები", „Copywriting", „PR ქეისები", "კამპანიები და სტრატეგიები", „სამთავრობი უწყებების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები", „ჯანდაცვის საკითხების გაშუქება", „სასწავლო პრაქტიკა" და სხვ.

რჩევები:

1. პროგრამის მიზნები და შედეგები თითქმის იდენტურია, 7 მიზანი და 7 შედეგი აქვს პროგრამას. სასურველია, მოხდეს პროგრამის მიზნების უფრო გამსხვილება;
2. სასურველია, უფრო საწყის სემესტრებში, პირველივე კურსზე ისწავლებოდეს ისეთი საგნები, როგორიცაა „შესავალი ვიზუალურ კომუნიკაციებში" (3), „პროფესიული ეთიკის საფუძვლები" (3), „მენჯმენტის საფუძვლები" (4). სასურველია, „მედიასამართალი" მე-6 სემესტრის ნაცვლად უფრო ადრეულ სემესტრებში ისწავლებოდეს, ისევე როგორც „აკადემიური წერა" უმჯობესია თუ პირველივე კურსზე იქნება გათვალისწინებული;
3. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, სასურველია, ინგლისური ენის გარდა, უნივერსიტეტი სთავაზობდეს სხვა უცხოურ ენებსაც;
4. ინგლისურენოვანი ლიტერატურა არი;ს ძალიან ჭარბად და სასურველია საწყის სემესტრებში მაინც ლექტორებმა რიდერები მოამზადონ;
5. არ ემთხვევა ზოგიერთი საგნის სახელწოდება პროგრამის კურიკულუმსა და სილაბუსში. მაგალითად, DMC 102 ინფორმაციული და ციფრული წიგნიერება 1 (პროგრამაში), „ვებინსტრუმენტები და ტექნოლოგიები" სილაბუსში;
6. ზოგიერთ სასწავლო კურსში შეფასების რუბრიკები უფრო მეტ დეტალიზაციას მოითხოვს, რადგან მაღალია ინტერვალი შეფასებებს შორის. მაგალითად: „PR ქეისების", „მედიასთან ურთიერთობა და წერა საზოგადოებასთან ურთიერთობის" სფეროში საგამოცდო კომპონენტების ქულა;

7. „ახალი ამბების თხრობის“ სილაბუსში დასაზუსტებელია 1 კომპონენტის შეფასების სტრუქტურა. შეფასების ინტენსივობა 16-ია, თუმცა, სტრუქტურაში განსაზღვრულია 15; მე-2 კომპონენტი „სავარჯიშოები/დავალებები“ ასევე ითხოვს შესწორებას, რადგან 8 არის გაწერილი და არა 9, როგორც ეს მითითებულია;
8. სასურველია, დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გააქტიურება პროგრამის მიმდინარეობის შესახებ და მათი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის დახვეწისა და განვითარების პროცესში;
9. სასურველია, სტუდენტურ გამოკითხვებში მონაწილეობა ატარებდეს ნებაყოფილობით ხასიათს. მიზანშეწონილია განემარტოს სტუდენტებს მათი დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების შესწავლის მნიშვნელობა და შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოკითხვებში სტუდენტების ჩართულობის ისეთი მექანიზმები, რომლებიც არ შეზღუდავენ სტუდენტების უფლებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ,,ციფრული მედიისა და კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ,,ციფრული მედიისა და კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

16:00 საათზე სხდომას შემოუერთდნენ ნინო ჭალაგანიძე და ანა ფირცხალაშვილი

3. მესამე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მეტალურგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეტალურგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 25 ივნისის N632904 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის მაგისტრი მეტალურგიაში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქუჩა, N 69 ა, თბილისი X-ე სასწავლო კორპუსი, 0171, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და დავით კაპანაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეასრულა ყველა ის 7 რეკომენდაცია, რომელიც გაცემულ იქნა აკრედიტაციის საბჭოს მიერ. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ დაწესებულებამ გაითავლისიწინა დასკვნაში ასახული რჩევებიც. ყოველივე ზემოაღნისნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რჩევებისა დ რეკომენდაციები გათვალისწინების შედეგად, პროგრამა ნამდვილად გაუმჯობესდა და დიხვეწა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემული რჩევები და რეკომენდაციები ნამდვილად იყო მიმართული პროგარმის

გაუმჯობესებასა და განვითარებისკენ და შესაბამისად ისინი გათვალისწინებული იქნა უნივერსიტეტის მიერ.

16:02- საბჭოს სხდომა დატოვა ელიზბარ ელიზბარაშვილმა

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:02
დასრულების დრო: 16:04

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მეტალურგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მეტალურგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიში ცნობად იქნას მიღებული.

4. მეოთხე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის18 ივნისისგადაწყვეტილებაNo 595601 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	

		საქართველო0160 ქ. თბილისი, მ. კოსტავასქ. No 68
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულები მიერ წარმოდგენილი ანგარიშით რეკომენდაციების შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება უზრუნველყვეს პროგრამის ხელმძღვანელმა და შესაბამისი ერთეულების წარმომადგენლებმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები და მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
2. რეკომენდირებულია მოხდეს სასწავლო კურსების „საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ტექნოლოგია“ და „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის საფუძვლები“ გადაფარვების მქონე სალექციო თემატიკის კორექტირება;
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში „საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტების საფუძვლები“, „საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ტექნოლოგია“ დეტალურად გაიწეროს აეროდრომებთან დაკავშირებული საკითხები და მიეთითოს შესაბამისი ლიტერატურა, ან დაკორექტირდეს სასწავლო კურსების დასახელებები და მოვიდეს შესაბამისობაში შინაარსთან;
4. სასწავლო კურსში „მშენებლობის ეკონომიკა“ განისაზღვროს რელევანტური წინაპირობა;
5. სასწავლო კომპონენტების ფარგლებში, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილება მოხდეს კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.
6. სასწავლო კურსებში სწავლა-სწავლების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს დარგის სპეციფიკასთან;
7. რეკომენდირებულია სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი ატარებდეს ანონიმურ ხასიათს, გამოკითხვის ობიექტურობის უზრუნველსაყოფად.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, აწარმოა დამატებითი კომუნიკაცია შრომის ბაზრის წარმომადგენელ კომპანიებთან, კერძოდ: შპს „დიდგორი - 2011“ , შპს „დაგი“, შპს „ინსი“ , შპს „მშენ ექსპერტი +“, შ.პ.ს „ბინექსი“.
ანგარიშით ცხადი ხდება რომ კომპანიის მიერ განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება. პროგრამის ხელმძღვანელის ორგანიზებით და შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორების ჩართულობით მოდიფიცირდა რიგი სასწავლო კურსები. შესწორდა სათანადო კურსების სილაბუსები და დაკორექტირდა ისინი რეკომენდაციების მოთხოვნების გათვალისწინებით. მიღებული გადაწყვეტილებები შეთანხმდა სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და წარედგინა ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად, რომელმაც დაამტკიცა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“.
რეაკრედიტაციის პროცესის მიმდინარეობისას და წარმოდგენილი ანგარიშით დადგინდა რომ სტუ-ში შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად განსაზღვრულია, რომ სასწავლო კომპონენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება მოხდეს კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. სავალდებულოა დაცული იყოს აკადემიური თავისუფლების პრინციპი. ამის შესახებ სტუ-ში თითოეული სილაბუსის ავტორს აქვს სათანადო ინფორმაცია და სასწავლო კურსებს შეიმუშავებენ აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით. ცხადია რომ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის“ მოდიფიცირების და სასწავლო კურსების ჩამოყალიბების პროცესში საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ მოცემულობას და იმგვარად ჩამოაყალიბეს სასწავლო კურსები, რომ მაქსიმალურად გათვალისწინებული ყოფილიყო კურსის სპეციფიკა.
წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ „მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მზადების ეტაპზე, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გაიარა სხვადასხვა განმავითარებელი ტრენინგი, რომელიც უშუალოდ ეხებოდა სასწავლო კურსებში სწავლა-სწავლების მეთოდების შესაბამისობას სასწავლო კურსების სპეციფიკასთან. გარდა ამისა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით ხორციელდებოდა სამუშაო შეხვედრები და ინდივიდუალური კონსულტაციები სასწავლო კურსის ავტორებთან სწავლა-სწავლების ფორმების და შეფასების მეთოდების სილაბუსის სპეციფიკის შესაბამისად ჩამოყალიბების საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით „მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების დამუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სწავლა - სწავლების რელევანტური მეთოდების შერჩევას.
მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუ-ში და ფაკულტეტზე განხორციელებული ნებისმიერი კვლევა ხორციელდება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით, ეთიკის კოდექსის გათვალისწინებით და კვლევაში მონაწილე პირების სრული ანონიმურობის დაცვით. რეაკრედიტაციის დროს წარმოდგენილ კითხვარში დაფიქსირდა ხარვეზი, რის გამოც წარმოიშვა აღნიშნული რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართადა წესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს კონსტრუქციული მუშაობისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება"
დაწყების დრო: 14:20
დასრულების დრო: 17:12

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიში ცნობად იქნას მიღებული.

16:23 -საბჭოს სხდომას შეუერთდა ნინო ჭალაგანიძე

5. მეხუთე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საავიაციო ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი საავიაციო ინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები 0716
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0175, მ.კოსტავას ქუჩა N68, I - ლი კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

- არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე ჩართულ მხარეებს მიმართა შუამდგომლობით, რადგან აღნიშნული საკითხი უკვე განიხილებოდა 2022 წლის 18-19 იანვრის საბჭოს სხდომაზე, თუ საგანმანათლებლო დაწესებულებას არ სურდა დამატებითი რაიმე ინფორმაციის წარდგენა, ან საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან ან ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან მათ შეეძლოთ გასულიყვნენ სათათბირო შესვენებაზე (2022 წლის 02 თებერვლის N101436 სხდომის ოქმი).
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს რომ მათ წინა სხდომაზე საბჭოს წევრებს წარუდგინეს სტული ინფორმაცია/დოკუმენტაცია „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით. ამიტომ თუ საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები მათთან ინისი ეთანხმებოდნენ საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობას.
სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებმაც განაცხადეს რომ ეთანხმებიან საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობას, რადგან მათთვის საკითხი ნათელი იყო და დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

16:04 საათზე სხდომას შემოუერთდნენ ნინო ინასარიძე და ანზორ ბერიძე
16:46 სხდომა დატოვა ანა ფირცხალაშვილმა

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყებისდრო: 16:25
დასრულებისდრო: 19:09

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის I სტანდარტი, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ , მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; II სტანდარტი ნაცვლად ,,არ არის შესაბამისი“, მიზანშეწონილია შეფასდეს როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“. ხოლო III სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლის და 6 თვის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია დაზუსტდეს პროგრამის მიზნები და უფრო ნათლად გაიწეროს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა;
2. რეკომენდებულია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;
3. ეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად მკაფიოდ გამოიხატოს პროგრამის სწავლის შედეგებისა და ცალკეული სავალდებულო სასწავლო კურსების შედეგების ბმა;
4. რეკომენდებულია დაზუსტდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
5. რეკომენდებულია გაიზარდოს საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა;
6. რეკომენდებულია პროგრამის დასახელება განისაზღვროს პროგრამის შინაარსის და მიზნების შესაბამისად ან პროგრამის სტრუქტურაში გაჩნდეს არჩევითი კონცენტრაციები (მაგ. ავიონიკისა და ელექტრული სისტემების, საავიაციო ძრავების, თვითმფრინავების დაპროექტებისა და წარმოების და სხვ.), რათა სრულად მოვიდეს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სახელწოდებასთან;
7. რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს შემდეგი შინაარსის შემსწავლელი სასწავლო კურსები: CFD (Computational Fluid Dynamics) პროგრამები, საავიაციო კანონმდებლობა და სტანდარტები (ICAO-ს და EASA-ს მოთხოვნები, საავიაციო სტანდარტები, IN, АП, FAR, JAR), ადამიანის ფაქტორი ავიაციაში, დარგობრივი ინგლისური ენა;
8. რეკომენდებულია გადაიხედოს საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგი სასწავლო კურსების სტატუსი: სარაკეტო ტექნიკის საფუძვლები, საფრენის აპარატის ავარიული გადარჩენის სისტემები, საავიაციო შეიარაღება, უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენების სფეროები;
9. რეკომენდირებულია გაიზარდოს სასწავლო კურსის „თვითმფრინავების დაპროექტების“ შესწავლისათვის გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა;
10. სასწავლო კურსს „საავიაციო მოწყობოლობა“ ცალკე კურსად გამოეყოს ,,საავიაციო სისტემების“ თემატიკები;
11. პროგრამის სასწავლო კურსებში გაიზარდოს შვეულმფრენის თემატიკის საკითხები;
12. სასწავლო კურსებში „საფრენი აპარატების წარმოების ტექნოლოგია“ და „საავიაციო ძრავები“ ძირითადი ლიტერატურა გაძლიერდეს თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურით;
13. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამაში გაიზარდოს ლაბორატორიული სწავლების კომპონენტთა ხვედრითი წილი;
14. რეკომენდებულია გაძლიერდეს სწავლება გამოყენებითი-საინჟინრო მექანიკის მიმართულებით: სამშენებლო-სტრუქტურული მექანიკა, სითხეების მექანიკა, მასალათა გამძლეობა და სხვა. (მაგ. ფირფიტები და გარსები);
15. რეკომენდებულია სასწავლო კურსში „ელექტროტექნიკის საფუძვლები საავიაციო ინჟინერიაში“ გაძლირდეს ავიაცასთან დაკავშირებული საკითხებით;
16. რეკომენდებულია გაძლიერდეს თვითმფრინავების დაპროექტებასთან დაკავშირებული კომპიუტერული პროგრამების სწავლება;

17. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „თვითმფრინავების მოწყობილობა“ თემატიკის მოცულობის გაზრდა სხვადასხვა ტიპის საფრენი აპარატების მაგალითების განხილვისა და შესაბამისი ძირითადი ლიტერატურის საფუძველზე;
18. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში „აეროდინამიკა“, „საავიაციო ტექნიკის დიაგნოსტიკა და საიმედოობა“, „ თვითმფრინავის მოწყობილობა“, „ მიკროპროცესორები საავიაციო ტექნიკაში“, “ თვითმფრინავების კონსტრუქცია“ შესწავლისას გამოყენებულ იქნას ლაბორატორიული სამუშაოები ან/და CFD პროგრამები;
19. რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს საავიაციო ინჟინერიის დასახელების ქვეშ არსებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა: საფრენი აპარატების სისტემების დაპროექტება, უპილოტო საფრენი აპარატების დაპროექტება, თვითმფრინავის კაბინისა და საბორტო სისტემების დაპროექტება;
20. რეკომენდებულია პროგრამაში აისახოს დარგის სპეციფიკასთან დაკავშიურებული შრომის უსაფრთოების დაცვის საკითხები, მათ შორის ლაბორატორიულ კომპონენტში;
21. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა ეფუძნებოდეს დარგის უახლეს საერთაშორისო მნიშვნელობის მიღწევებს;
22. რეკომენდებულია სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით დამატებით დაიდოს ხელშეკრულებები/მემორანდუმები საქართველოს წამყვან დარგობრივ კომპანიებთან, სადაც გათვალისწინებული იქნება სტუდენტების რაოდენობა, ასევე პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა, მათ შორის სავალდებულოდ სსსტც „დელტა“-სთან, სს „თამ-თბილავიამშენ“-თან და სხვა;
23. ყველა სასწავლო კურსში/კომპონენტში, სადაც დაგეგმილია პრაქტიკული უნარების მიღწევა, აუცილებელია ისეთი შეფასების მეთოდების, კომპონენტების და კრიტერიუმების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ უნარების ობიექტურ შეფასებას;
24. რეკომენდებულია საავიაციო ინჟინერიის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი უზრუნველყოფა;
25. რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩაერთონ საავიაციო საწარმოებში დასაქმებული დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტები;
26. მე - 6 რეკომენდაციის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კონცენტრაციების შემოღების შემთხვევაში რეკომენდებულია მატერიალურ-ტექნიკური რესურსი მოიცავდეს საავიაციო ინჟინერიის სწავლებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვან ისეთ ლაბორატორიებს, როგორიცაა: აეროდინამიკის, საავიაციო ხელსაწყოების, ფუნქციური სისტემების, საპილოტაჟო-სანავიგაციო მოწყობილობების, საავიაციო ძრავების და საფრენი აპარატების რადიოელექტრონული მოწყობილობების ლაბორატორიები (აღჭურვილი საავიაციო სტანდარტების შესაბამისი ელექტრული კვების წყაროებით);
27. რეკომენდებულია უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკურ რესურს დაემატოს ურღვევი კონტროლის მაგნიტური და რენტგენო კონტროლის მეთოდების შესწავლისათვის საჭირო ლაბორატორიული მოწყობილობები;
28. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტზე ისეთი აღჭურვილობის მობილიზება, რომლებიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;
29. რეკომენდებულია ურთიერთშეცვლადობისა და ტექნიკური გაზომვების ლაბორატორიაში გამოყენებული სადემონსტრაციო მასალა იყოს სწავლების ენაზე;
30. დეტალურად გაიწეროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის და პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განვითარებისათვის ხარჯები;
31. რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაიზარდოს ახალი ლაბორატორიების შესყიდვა/მოწყობისათვის გათვალისწინებული თანხა;

32. რეკომენდებულია დამატებით იქნას მოძიებული პროგრამის მატერიალური რესურსის განვითარებისთვის საჭირო წყაროები როგორც პერიოდული, ასევე - ერთჯერადი;
33. პროგრამის შეფასებისა და განვითარებისათვის აუცილებელი ყველა იმ მექანიზმის გამოყენება, რომლებსაც უნივერსიტეტი თავად ადგენს და პროგრამის შეფასებისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს (მათ შორის, მთლიანად პროგრამის და მისი თითოეული კომპონენტის დონეზე შედეგების მიღწევის შესაძლებლობის დადასტურებისათვის სამიზნე ნიშნულების, სწავლის შედეგების, შეფასების მეთოდების, რესურსებით უზრუნველყოფისა და სხვ. ასპექტების ურთიერთკავშირის გათვალისწინება, შეფასების კომპლექსურობა, და სხვ.);
34. უცხოეთის უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან პროგრამის დადარება უნდა იქნეს გაანალიზებული, მისი მეშვეობით უნდა დგინდებოდეს რა და რატომ გაიზიარა დაწესებულებამ (პროგრამის სწავლის შედეგები, სტრუქტურა, შინაარსი და/ან სხვ.) თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით;
35. რეკომენდებულია პროგრამის მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს უცხოური პროგრამების მიზნებთან და წარმოდგენილ იქნას მათთან დადარების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი.

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის მიზნებში მკაფიოდ აისახოს თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში;
2. სასურველია პროგრამას დაემატოს საავიაციო ინჟინერიის დასახელების ქვეშ არსებული ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, როგორიცაა: საფრენი აპარატების სისტემების დაპროექტება, უპილოტო საფრენი აპარატების დაპროექტება, თვითმფრინავის კაბინისა და საბორტო სისტემების დაპროექტება;
3. სასურველია გაძლიერდეს ისეთი თემატიკის შემსწავლელი სასწავლო კურსები, როგორიცაა: უპილოტო საფრენი აპარატები, საფრენი აპარატების ავიონიკა, საფრენი აპარატების ფუნქციური სისტემები, საფრენი აპარატების სიმტკიცეზე ანალიზი;
4. თვითმფრინავების სისტემების ისეთი თემების როგორიცაა: მაღლივი მოწყობილობა, დამცავი მოწყობილობა, თვითმფრინავის ჰიდრავლიკური და პნევმატიკური მოწყობილობა შესასწავლად გამოყოფილი დრო;
5. უცხო ენის შესწავლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით სასურველია შემუშავდეს და ამოქმედდეს მექანიზმი, რომლის მეშვეობით მოხდება სტუდენტთა ჯგუფების დაკომპლექტება ენის ფლობის დონეების მიხედვით;
6. სასურველია გაიზარდოს პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის მოცულობა;
7. მიზანშეწონილია სემესტრის დასაწყისში დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების დამატებით ინფორმირება სილაბუსების, მათ შორის შეფასების სისტემის, მეთოდებისა და კომპონენტების შესახებ;
8. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტთა დამატებით ინფორმირება დაწესებულებაში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტების, მათ შორის „სტუდენტთა ეთიკის კოდექსის“ შესახებ (მოთხოვნები, დარღვევაზე რეაგირება და სხვ.);
9. სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს სტუდენტთა ინფორმირება სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის წახალისების მექანიზმის შესახებ;
10. სასურველია სტუდენტებისთვის გამოკითხვის ფორმების მიწოდება სტუდენტური პორტალის ან ელ.ფოსტის მეშვეობით და მათი ინფორმირება გამოკითხვების შედეგებზე რეაგირების თაობაზე;
11. სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მიზნით მოლაპარაკებები დაიწყოს და წინარე ხელშეკრულებები დაიდოს დარგის უცხოელ სპეციალისტებთან;
12. სასურველია აკადემიური/მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში და სხვ.;

13. სასურველია თანამშრომლობის გააქტიურება ისეთ უნივერსიტეტებთან, რომელთაც აქვთ საავიაციო ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამები;
14. სასურველია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივად განვითარება და სრულყოფა, ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის განახლება;
15. სასურველია გაძლიერდეს 3D ვიზუალიზაციის საშუალებების გამოყენება ისეთი ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად სადაც ეს შესაძლებელია;
16. სასურველია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე უცხოეთის უსდ-ების მიერ.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლითა და 6 თვით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

დაბტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 11 თებერვლის 19:15 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ